

ევროპის საინვესტიციო ბანკი

საქართველოში



ევროპის
საინვესტიციო
ბანკი

ევროკავშირის ბანკი



საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტების დაფინანსებით, ჩვენ ხელს ვუწყობთ ქვეყნის დაახლოებას ევროკავშირთან და ვეხმარებით მას გამოიყენოს საკუთარი გეოპოლიტიკური მდებარეობა ევროპის აზიასთან დასაკავშირებლად. ბანკი აფინანსებს დამაკავშირებელი სატრანსპორტო კომუნიკაციის, ენერგეტიკული უსაფრთხოების, კერძო სექტორთან და მუნიციპალური და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის მოწყობასთან დაკავშირებულ ინიციატივებს. ეს პროექტები ხელს უწყობს საქართველოს ეკონომიკის ინკლუზიურ ზრდასა და მდგრად განვითარებას, რასაც სარგებელი მოაქვს ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის.

ვაზილ ჰუდაკი (Vazil Hudák)

ევროპის საინვესტიციო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი



10 წელზე მეტი გავიდა რაც ევროპის საინვესტიციო ბანკმა საქმიანობა დაიწყო საქართველოში. ამ პერიოდში, ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია, რაც შეუძლებელი იქნებოდა ევროპის საინვესტიციო ბანკის მონაწილეობის გარეშე.

ევროპის საინვესტიციო ბანკი წარმოადგენს საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვან პარტნიორს. ბანკი მხარს უჭერს პროექტებს, რომელსაც სარგებელი მოაქვს ქვეყნისათვის და ხელს უწყობს ქვეყნის ევროკავშირთან ურთიერთობების და კომუნიკაციის დამყარებას.

საქართველოს მთავარი პრიორიტეტია, ქვეყნამ დაიმკვიდროს თავი როგორც ტრანსპორტისა და ლოგისტიკის რეგიონალურმა ჰაბმა, რომელიც შესთავაზებს ზღვაზე გასასვლელის არმქონე კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს საზღვაო გასასვლელს.

ევროპის საინვესტიციო ბანკი თამაშობს საკვანძო როლს ამ მიმართებით.

ევროპის საინვესტიციო ბანკს ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ენერგეტიკული უსაფრთხოების, მუნიციპალური და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურისა და კერძო სექტორთან დაკავშირებული პროექტების დაფინანსებაში. ჩვენ გვჯერა, რომ ბანკის მიერ კერძო სექტორთან დაკავშირებული ოპერაციების გაზრდას აქვს ისეთივე მნიშვნელობა, როგორც ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ სუვერენული სახელმწიფოების დაკრედიტების პორტფოლიოს.

ჩვენ მივესალმებით ევროპის საინვესტიციო ბანკის ძალისხმევას გაზარდოს კერძო სექტორში ოპერაციების მოცულობა, ვინაიდან, აღნიშნული წარმოადგენს ზრდის, დასაქმებისა და ინოვაციის მთავარ სტიმულს.

ივანე მაჭავარიანი (Ivane Matchavariani)

საქართველოს ფინანსთა მინისტრი



საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა

საქართველო წარმოადგენს მცირე ზომის, საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყანას, 11 600 დოლარი მთლიანი შიდა პროდუქტით ერთ სულ მოსახლეზე (მსყიდველობითი უნარის პარიტეტი) და მთლიანად დაახლოებით 3.7 მილიონი მოსახლით. 2004-2008 წლებში საქართველომ მიაღწია მნიშვნელოვან წლიური ზრდის მაჩვენებლებს, რითაც წლიური საშუალო დაახლოებით 10%-ს გაუტოლდა. წლიური ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად შენედა გლობალური ფინანსური კრიზისის გამო 2008-2009 წლებში.

უწყვეტმა სტრუქტურულმა რეფორმებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და ბიზნეს გარემო, რამაც საქართველო აქცია რეგიონში საუკეთესო შემსრულებლად. მიუხედავად აღნიშნულისა, მისი მიმდინარე ანგარიშის პოზიცია რჩება სტაბილურად ნეგატიური, რის გამოც ქვეყანა დაუცველია გარე შოკებისა და საერთაშორისო ფასების მერყეობის მიმართ.

ვაჭრობას, მრეწველობას, მშენებლობას და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობას, ტრანსპორტსა და კომუნიკაციებს, ასევე სოფლის მეურნეობის სექტორს უკავია ლომის წილი ქვეყნის ეკონომიკაში. სოფლის მეურნეობის სექტორი აწარმოებს მშპ-ს 6.7%-ს და დამატებითი ღირებულების 8%-ს და ასაქმებს დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 40%-ს.

სოფლის მეურნეობა ასევე მონაწილეობს საქართველოს ექსპორტში, თხილეულის, ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტზე გატანის გზით. ამასთანავე, ტურიზმის სექტორი განსაკუთრებით გააქტიურდა საქართველოში, საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობამ მიაღწია 8.7 მილიონს 2018 წელს, რაც წინა წელთან შედარებით 10%-ით მეტია.




საქართველო და ევროპის საინვესტიციო ბანკი

ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სტრატეგიული ავტომაგისტრალი, საქართველოს უდიდესი ჰიდროელექტროსადგური, წყალარინების გამწმენდი სადგური, სრულიად განახლებული ბავშვთა სამედიცინო ცენტრი დედაქალაქში: ევროპის საინვესტიციო ბანკმა ინვესტიცია განახორციელა 23 პროექტში ინფრასტრუქტურის მონაცემების, კერძო სექტორის და კლიმატთან დაკავშირებული ქმედების დასაფინანსებლად 2007 წელს საქართველოში საქმიანობის დაწყებიდან. იმავე წელს საქართველომ და ევროპის საინვესტიციო ბანკმა ხელი მოაწერეს ჩარჩო-ხელშეკრულებას, რომლის შესაბამისადაც ევროპის საინვესტიციო ბანკი ეწევა საქმიანობას ქვეყანაში. 2015 წელს, ბანკმა გახსნა რეგიონალური წარმომადგენლობა თბილისში სამხრეთ კავკასიისთვის.



2014 წლის ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და ევროკავშირისა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით, ბანკმა გააძლიერა მხარდაჭერა და გაზარდა ქვეყნის დაკრედიტების პორტფოლიო 1.83 მილიარდ ევრომდე. აღნიშნულმა საქართველო აქცია ევროპის საინვესტიციო ბანკის საკრედიტო სქემის მთავარ ბენეფიციარად ერთ სულ მოსახლეზე ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს რეგიონში.



უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, ჩვენი დახმარებით:



ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ გამოყოფილი სესხები მილიონ ევროში (2007 - 2019 წლის I ნახევარი)




ევროპის საინვესტიციო ბანკი საქართველოში პროექტების უმეტესობას აფინანსებს ევროკავშირის საგარეო სესხების მანდატის ფარგლებში. აღნიშნული ევროპის საინვესტიციო ბანკს აძლევს ევროკავშირის ბიუჯეტით უზრუნველყოფილ გარანტიას სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის, ადგილობრივი კერძო სექტორის განვითარების და კლიმატთან დაკავშირებული ქმედების პროექტებისათვის.

საჯარო სექტორისთვის გამოყოფილი სესხები

საჯარო ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ევროპის საინვესტიციო ბანკის სესხების გაცემის სქემის ყველაზე მნიშვნელოვან სფეროს საქართველოში (მისი ოპერაციების 79%). აღნიშნული მოიცავს ტრანსპორტს, ენერჯეტიკას, წყლისა და წყალარინების სისტემას. 2016 წლიდან, ევროპის საინვესტიციო ბანკმა ასევე დააფინანსა ურბანული რეკონსტრუქცია და განაშენიანება და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განახლება.

ინფრასტრუქტურაში ინვესტიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს გლობალურ ეკონომიკასთან დაკავშირების გასაძლიერებლად. აღნიშნული, თავის მხრივ, საშუალებას აძლევს ქვეყანას ისარგებლოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით და გააუმჯობესოს საკუთარი მოქალაქეების ყოველდღიური ცხოვრება. ევროპის საინვესტიციო ბანკის საკრედიტო მხარდაჭერით განხორციელდა 11 პროექტი სატრანსპორტო კომუნიკაციის, ენერჯეტიკული უსაფრთხოების, მუნიციპალური და გარემოს დაცვის ინფრასტრუქტურის სფეროში 1.48 მილიარდი ევრო სესხის ჯამური მოცულობით. აღნიშნულ ინვესტიციას მოაქვს საგრძნობი შედეგები საქართველოს მოსახლეობისა და ქვეყნის ეკონომიკისათვის, რაც ევროპის საინვესტიციო ბანკს საქართველოში საჯარო სექტორის ერთ-ერთ მთავარ დამფინანსებლად ხდის.



საქართველო, ტურისტული ჰაბი, მდებარეობს რამდენიმე გლობალური სავაჭრო მარშრუტის გზაჯვარედინზე. სტრატეგიული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განახლებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ზრდისა და კონკურენტუნარიანობისთვის. გაუმჯობესებული საგზაო ქსელი აძლიერებს ადგილობრივ მობილობას და ზრდის უსაფრთხოებას, ამცირებს ბაზრებზე და სერვისებზე წვდომის ხარჯებს და ქმნის ეკონომიკური და ბიზნესის განვითარების პირდაპირ შესაძლებლობებს.



სიტუაციური ანალიზი

თიხის ნაწარმის ბაზართან მიმავალი გზა

სოფელი შროშა წარმოადგენს მეთუნეობის მშობლიურ კუთხეს საქართველოში და ცნობილია შექმნილი შედეგებით ანტიკური ხანიდან. ამ მიდამოებში არსებული წითელი ნიადაგი შესაძლოა არ იყოს კარგი სოფლის მეურნეობისათვის, მაგრამ ის იდეალურია მეთუნეობისთვის. მაღაზია, რომლის მესაკუთრე ქალბატონია, ყიდის ლამაზ, ხელნაკეთ თიხის ნაწარმს იმერეთისკენ მიმავალ გზატკეცილზე, რომელიც აკავშირებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს, რამდენიმე გლობალური სავაჭრო გზის გადაკვეთაზე.

უბისას და შორაპანს შორის მდებარე ახალ 13 კილომეტრიან ორმხრივი გზის სავალ ნაწილზე დაგეგმილი სამუშაოების ჩატარება დაიწყება გზისპირა ბაზრის სამხრეთით 650 მეტრის დაშორებით. ახალი ავტომაგისტრალი დაიწყება დასავლეთ საქართველოს სოფელ ბორითში და დასრულდება აღმოსავლეთ საქართველოს სოფელ ქვედა სვედაში და დააკავშირებს ევროპასა და აზიას. აღნიშნული პროექტი დაფინანსებულია 332 მილიონი ევროთი ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ, ასევე 5.9 მილიონი ევროს გრანტით, რომელიც გამოიყო ევროკავშირის მიერ ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ გაცემული საქართველოს სატრანსპორტო კომუნიკაციის სესხის ფარგლებში.

პროექტით ასევე გათვალისწინებულია ახალი ავტომაგისტრალიდან თიხის ნაწარმის ბაზრამდე მიმავალი გზის დაგება. ბაზართან მისვლა უფრო მარტივი და უსაფრთხო გახდება გზაზე მონყობილი ქვეითთა გადასასვლელებისა და გაუმჯობესებული გზის გეგმარების წყალობით.

ევროპის საინვესტიციო ბანკმა გამოყო
1.48 მილიარდი ევრო, მოახდინა
3.47 მილიარდ ევროზე მეტი
მობილიზება 2007 წლიდან

11
საჯარო
სექტორის
პროექტისათვის

ევროპის საინვესტიციო ბანკი ასევე ახდენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განახლების ფინანსურ მხარდაჭერას საქართველოს რამდენიმე ქალაქში და აფინანსებს გარემოს დაცვის პროექტებს მუნიციპალიტეტის წყალარინების ობიექტების შეკეთების და მოდერნიზაციის კუთხით. ევროპის საინვესტიციო ბანკის მიდგომა საშუალებას აძლევს ადგილობრივ ხელისუფლებას უკეთ შეათანხმოს და დაგეგმოს საკუთარი საინვესტიციო საჭიროებები 6 წელზე მეტი პერიოდით. აღნიშნული ინვესტიციები საშუალებას აძლევს მუნიციპალიტეტებს განაახლონ ადგილობრივი ინფრასტრუქტურა და გააუმჯობესონ მომსახურების მიწოდება ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის.



**სიტუაციური
ანალიზი**

თბილისის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

2016 წელს ევროპის საინვესტიციო ბანკმა მოახდინა 100 მილიონი ევროს სწრაფი მობილიზება თბილისში წყალდიდობის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის შესაკეთებლად. პროექტის ფარგლებში გაუმჯობესდა მუნიციპალური და ტურისტული ინფრასტრუქტურა, მათ შორის 2015 წლის წყალდიდობების შემდგომი სასწრაფო რეკონსტრუქციის სპეციალური კომპონენტი.

სტრატეგიული დამაკავშირებელი პუნქტების მშენებლობა

შავ და კასპიის ზღვებს შორის განლაგების გამო საქართველოს აქვს იდეალური მდებარეობა, რათა გახადოს სატრანზიტო რეგიონი „შუა კორიდორში“, მულტიმოდალური გადაზიდვების მარშრუტი ევროპასა და აზიას შორის. ტვირთი შედის და გადის ევროკავშირიდან შავი ზღვისა და თურქეთის გავლით და გადაკვეთს კასპიის ზღვას ყაზახეთისკენ, საიდანაც სარკინიგზო ხაზით შედის ჩინეთში.

საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალი წარმოადგენს მულტიმოდალური გადაზიდვების მარშრუტს და იძლევა ხალხის, პროდუქტებისა და საქონლის, როგორცაა ნავთობი, გაზი და მშრალი ტვირთი, გადაზიდვის საშუალებას. ამ დერეფნის განსავითარებლად, ევროპის საინვესტიციო ბანკმა გამოყო სესხი აღმოსავლეთ-დასავლეთ ავტომაგისტრალური გზის სხვადასხვა მონაკვეთის რეაბილიტაცია-გაფართოებისთვის¹, ზემო ოსიაურსა და ჩუმათელეთს შორის მდებარე E60-ის გასწვრივ 14.1 კილომეტრი სიგრძის ახალი ავტომაგისტრალის და მასთან დამაკავშირებელი გზების მშენებლობისათვის. ევროპის საინვესტიციო ბანკმა ასევე გამოყო საინვესტიციო გრანტები სამეზობლო საინვესტიციო პლატფორმის (NIP) ფარგლებში, ასევე გაუნია ტექნიკური დახმარება აღმოსავლეთ პარტნიორობის ტექნიკური დახმარების სატრასტო ფონდის (EPTAFT) მეშვეობით.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალი წარმოადგენს გაფართოებულ ტრანსევროპულ სატრანსპორტო ქსელს (TEN-T) საქართველოში. მან მიიღო დაახლოებით 1 მილიარდი ევროს დაფინანსება ევროპის საინვესტიციო ბანკის გრძელვადიანი დაფინანსების მეშვეობით 2012 წლიდან, ამასთანავე რამდენიმე გრანტი ევროპის სამეზობლო საინვესტიციო პლატფორმიდან 25.5 მილიონი ევროს ჯამური მოცულობით.

1 სამტრედია /გრიგოლეთი: 52 კმ, გრიგოლეთი /ქობულეთის შემოვლითი გზა: 14 კმ, ჩუმათელეთი/ხევი: 11.6 კმ, F3 უბისა/შორაპანი: 13 კმ



200 მილიონი ევრო

ევროპის საინვესტიციო ბანკის
სესხი მუნიციპალური
ინფრასტრუქტურისთვის

1 მილიარდი ევრო

საჯარო ინფრასტრუქტურის
ინვესტიციები სატრანსპორტო
სექტორში

180 მილიონი ევრო

წყლისა და წყალარინების
ინფრასტრუქტურისთვის

105 მილიონი ევრო

ენერგეტიკული
უსაფრთხოებისთვის



60 მილიონ ევროზე მეტი ღირებულების
ტექნიკური დახმარებისა და საინვესტიციო გრანტები
ენერგოეფექტურობის, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის
და სატრანსპორტო პროექტების მხარდასაჭერად



კერძო სექტორისთვის გამოყოფილი სესხები

კერძო სექტორი წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის, სამუშაო ადგილების შექმნისა და ინოვაციების მამოძრავებელ ძალას საქართველოში. მცირე ბიზნესები, რომელნიც სანარმოთა 90%-ს შეადგენს და ასაქმებს ბიზნეს სექტორის 40%-ს, წარმოადგენს კერძო სექტორის საყრდენს. კერძო სექტორის განვითარება, კერძოდ, ამ ბიზნესების ზრდა, ევროპის საინვესტიციო ბანკის მთავარი მიზანია საქართველოში.

ბანკი სთავაზობს საკრედიტო ხაზებს საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო ზომის სანარმოების გრძელვადიანი დაფინანსების სიმწირის აღმოსაფხვრელად. ფინანსური პარტნიორები სარგებლობენ ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ შეღავათიანი პირობებით გამოყოფილი დაფინანსებით.

ამასთანავე, ევროპის საინვესტიციო ბანკი გასცემს პირდაპირი ინვესტიციის სესხებს ქართულ ბიზნესებზე. მაგალითად, 21.5 მილიონი ევროს გრძელვადიანი სესხი გამოიყო თბილისის წყალკანალზე, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის მხარდასაჭერად და ქსელის განახლებისათვის წყლის დანაკარგის შესამცირებლად და ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

ევროპის საინვესტიციო ბანკი განაგრძობს მცირე ბიზნესებისათვის დაფინანსების წვდომაზე პრიორიტეტის მინიჭებას, შუამავლური დაფინანსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით. ბანკი ასევე აპირებს გაზარდოს რისკის გადანაწილებასთან დაკავშირებული თავისი პროდუქტებისა და წარმადობის საქმიანობების მასშტაბი საქართველოში, ძირითადად ორი ახალი პროგრამის მეშვეობით: თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველი ზონის შესახებ შეთანხმება (DCFTA) და ევროკავშირის დაფინანსება ნოვატორებისთვის (InnovFin). აღნიშნული პროგრამების შესახებ დამატებითი ინფორმაციის სანახავად, ეწვიეთ გვერდებს 15 და 16.

ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ მცირე ბიზნესებისა და საშუალო კაპიტალის მქონე სანარმოებისთვის გამოყოფილი სესხები ამჟამად ხელმისაწვდომია საქართველოს ბანკის, პროგრედიტ ბანკის, კრედო ბანკისა და თიბისი ბანკის მეშვეობით. 2007-2019 წლებში, ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ ადგილობრივი ბანკებისთვის გაცემული სესხები შესაბამისი ბიზნესებისათვის გადაიქცა მიმზიდველ დაფინანსებად დაახლოებით 1 300 ქვე-პროექტისთვის. ეს რიცხვი იზრდება.



**სიტუაციური
ანალიზი**

ბარამბო: ბიზნესის გაფართოება

ბარამბო ქართული შოკოლადის მწარმოებელია. კომპანია 2009 წელს დაფუძნდა და კარგადაა ცნობილი საქართველოს ბაზარზე. ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით, თიბისი ბანკის მიერ გამოყოფილმა 2 მილიონამდე ევროს ოდენობით სესხმა კომპანიას საშუალება მისცა შეეძინა დანადგარები და გაეზარდა წარმოება.



**სიტუაციური
ანალიზი**

**გლობალმედი: ინვესტიცია სამედიცინო
მომსახურებაში**

2012 წელს დაარსებული გლობალმედის ბავშვთა კლინიკა აწვდის გადაუდებელ და დაგეგმილ ქირურგიულ მომსახურებას. კლინიკას აქვს ამბულატორიული განყოფილება, სტაციონარი და სარეაბილიტაციო განყოფილება. 170 000 ევრო, ევროპის საინვესტიციო ბანკის სესხმა, რომელიც გამოყო პროკრედიტ ბანკის საქართველოს ოფისმა, საშუალება მისცა კომპანიას შეეძინა ახალი შენობა-ნაგებობების კომპლექსი და თანამედროვე აღჭურვილობა. პროექტმა ასევე ისარგებლა საპროცენტო განაკვეთის სუბსიდიით ევროკავშირი ბიზნესისთვის (EU4Business) პროგრამით გათვალისწინებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსების ინსტრუმენტის დახმარებით.

ევროპის საინვესტიციო ბანკმა გამოყო
348 მილიონი ევრო,
მოახდინა **1 620 მილიონ ევროზე**
მეტის მობილიზება 2007

წლიდან

1 300-ზე მეტი

პროექტისათვის, რომელიც
შეეხო შესაბამის მცირე
ბიზნესებს, საშუალო
კაპიტალის მეორე
სანარმოებსა და
კორპორაციებს



თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველი ზონის (DCFTA) ინიციატივა აღმოსავლეთი

თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველი ზონის (DCFTA) ინიციატივა აღმოსავლეთი ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას ფინანსური და ტექნიკური დახმარების მიწოდებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის იმ ქვეყნებში, რომელთაც ხელი აქვთ მოწერილი ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე - საქართველო, მოლდოვა და უკრაინა.

ევროკავშირი ბიზნესისთვის პროგრამის ფარგლებში, ევროკავშირის საინვესტიციო ბანკმა გააერთიანა ძალები ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო ფონდთან, რათა უზრუნველყო ყოვლისმომცველი ინსტრუმენტების პაკეტის მიწოდება, რომელიც მოაგვარებს ბაზარზე არსებული საჭიროებებს და მხარს დაუჭერს თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველი ზონის შესახებ (DCFTA) შეთანხმების მიზნებს. ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს კერძო სექტორის წარმადობის გაძლიერებას ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენციის განვითარების, ვინაიდან მიკრო-საწარმოებსა და მცირე ბიზნესებს გაუმჯობესდებათ ფინანსებთან წვდომა რისკის კაპიტალის, გარანტიების და ტექნიკური დახმარების საშუალებით. საბოლოო ჯამში, ის მოხსნის ბარიერებს და შესაბამისობაში მოიყვანს მცირე ბიზნესებს ევროკავშირის სტანდარტებთან.

აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში არსებული მხარდაჭერა მოიცავს:

- 4.2 მილიონი ა.შ.შ. დოლარის სესხს კრედო ბანკისთვის, რომელიც უზრუნველყოფს მიკროსაფინანსო მომსახურებას შემოსავლის გენერირების საქმიანობებისთვის და გაცემულია მიკრო და მცირე საწარმოებზე როგორც ქალაქებში ისე სოფლებში. ის მოიცავს თვითდასაქმებულებს, ინდივიდუალურ მენარმეებსა და მიკრო საწარმოებს.
- ორი სასესხო გარანტია პროკრედიტ ბანკისთვის (2.4 მილიონი ევრო) და თიბისი ბანკისთვის (2.4 მილიონი ევრო), უფრო მაღალი რისკის შემცველი ბიზნესებისთვის გაუმჯობესებს ფინანსებთან წვდომას დაფინანსების უკეთესი პირობების შექმნით და უზრუნველყოფის საგნის მიმართ მოთხოვნების შემცირებით.



დავით პეტრიაშვილმა მიიღო
ევროპის საინვესტიციო ბანკის
ხელშეწყობით გაცემული სესხი
პროკრედიტ ბანკისგან
ფერმერული საქმიანობისთვის.



ერთობლივი ინიციატივა

ევროკავშირის დაფინანსება ნოვატორებისთვის (InnovFin)

ევროკავშირის დაფინანსება ნოვატორებისთვის (InnovFin) - წარმოადგენს ერთობლივ ინიციატივას, რომელიც წამოიწყო ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფმა (ევროპის საინვესტიციო ბანკი და ევროპის საინვესტიციო ფონდი) ევროკომისიასთან თანამშრომლობით ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ის ფარგლებში. ევროკავშირის დაფინანსება ნოვატორებისთვის (InnovFin) შედგება ფინანსური ინსტრუმენტების და საკონსულტაციო მომსახურებისაგან, რომელსაც სთავაზობს ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფი, და მოიცავს კვლევისა და ინოვაციის მთლიანი ღირებულების ჯაჭვს მცირე და მსხვილი კომპანიების მიერ განხორციელებული ინვესტიციების მხარდასაჭერად.

2017 და 2018 წლებში, ევროპის საინვესტიციო ფონდმა გააფორმა ევროკავშირის დაფინანსება ნოვატორებისთვის (InnovFin) საგარანტიო ხელშეკრულებები სააქციო საზოგადოება პროკრედით ბანკსა და თიბისი ბანკთან საქართველოში. ხელშეკრულებები საშუალებას მისცემს ამ ორ ბანკს გასცენ 60 მილიონი ევროს და 50 მილიონი ევროს ოდენობის სესხები შესაბამისად, ინოვაციური მცირე და საშუალო კაპიტალის მქონე სანარმოებისთვის. 2018 წლის ბოლოსთვის, 43 მილიონი ევროს სესხი გაიცა 86 კომპანიაზე.

კლიმატთან დაკავშირებული ქმედება

ევროპის საინვესტიციო ბანკი მხარს უჭერს ნახშირბადის შემცველობის შემცირებას და კლიმატის ცვლილებების მიმართ მედეგ ზრდას საქართველოში. ის აფინანსებს ენერგოეფექტურობასა და განახლებად ენერჯიასთან დაკავშირებულ პროექტებს. ის, ასევე, ახორციელებს ინვესტირებას კაპიტალისა და სავალო ვალდებულებების ფონდებში.

2007 წლიდან
85 მილიონი
ევრო გამოიყო
კლიმატის ცვლილების
შერბილებისა და
ადაპტაციისათვის.

სიტუაციური ანალიზი

ენგურის ჰიდროელექტროსადგური

ევროპის საინვესტიციო ბანკი თამაშობს ცენტრალურ როლს **განახლებადი ენერჯის** პოტენციალის აღმოჩენაში საქართველოში და უზრუნველყოფს მის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, უმეტესწილად ენგურისა და ვარდნილის კაშხალის ჰიდროელექტროსადგურებზე, რომელნიც ქმნიან საქართველოს მთლიანი ენერგონარმოების 40%-ს, აღდგენითი სამუშაოების, ასევე მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის დაფინანსებით. ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ გამოყოფილი 23.5 მილიონი ევროს სესხი უზრუნველყოფილია ევროკავშირის 5 მილიონი ევროს გრანტით სამეზობლო საინვესტიციო პლატფორმის ფარგლებში.

მწვანე ზრდის ფონდი (GGF)

დაფუძნებული ევროპის საინვესტიციო ბანკისა და გერმანიის სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული განვითარების ბანკში შემავალი რეკონსტრუქციის ბანკის (KfW) მიერ, მწვანე ზრდის ფონდი (GGF) უზრუნველყოფს სხვადასხვა მრავალმხრივი და კერძო ინსტიტუციური ინვესტორების მოზიდვას პროექტებში, რომლებიც უკავშირდება ენერგოეფექტურობას და განახლებადი ენერჯის წარმოებას და ხელს უწყობს წყლის, ნარჩენების ეფექტურობას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში, ევროპული სამეზობლოს რეგიონსა და ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში. აღნიშნული შენატანი კეთდება უმეტესწილად ბიზნესებისთვის და შინამეურნეობებისთვის გამოყოფილი დაფინანსების მიწოდებით საფინანსო ინსტიტუტებთან პარტნიორობის ან პირდაპირი დაფინანსების გზით. ფონდის პორტფოლიო საქართველოში, ამჟამად დაახლოებით 56 მილიონი ევროს ოდენობით, მოიცავს როგორც ჰიდროელექტრო და ქარის ენერჯის პროექტებს ასევე ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტებისთვის გამოყოფილ საკრედიტო ხაზებს.

დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე www.ggf.lu.



გლობალური ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის ფონდი (GEEREF)

ევროპის საინვესტიციო ბანკის რეკომენდირებული გლობალური ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის ფონდი (GEEREF) წარმოადგენს ინოვაციური ფონდების ფონდს, რომელიც ახდენს კერძო სექტორის კაპიტალის მოზიდვას სუფთა ენერჯის პროექტებისათვის განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. საქართველოში, გლობალური ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის ფონდმა (GEEREF) გამოყო 13 მილიონი დოლარი კავკასიის სუფთა ენერჯის ფონდისთვის – კერძო კაპიტალის საინვესტიციო ფონდი, რომელიც ახორციელებს ინვესტიციებს მცირე და საშუალო მასშტაბის ჰიდროელექტროსადგურებში ქვეყნის ტერიტორიაზე. დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე www.geeref.com.

ტექნიკური დახმარება

ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ დაფინანსებული დახმარება

ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ გაცემული სესხის ოპერაციების მნიშვნელოვანი რაოდენობა სარგებელს იღებს საკონსულტაციო მომსახურებიდან, რომელიც ფინანსდება ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ პროექტის იდენტიფიკაციის, მომზადების, განხორციელებისა და საოპერაციო/ტექნიკური უზრუნველყოფის დახმარების მიზნებისათვის.

ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო პლატფორმა

2008 წელს დაწყებული ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო პლატფორმა (NIP) ეხმარება ევროკავშირის სამეზობლოს ქვეყნებს მიაღწიონ უკეთეს მმართველობას, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას ევროკავშირის გრანტების დაფინანსების ფარგლებში ევროპის საფინანსო ინსტიტუტების სესხების დახმარებით. როგორც საინვესტიციო გრანტების, ასევე ტექნიკური დახმარების გრანტების გამოყოფით ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო პლატფორმა (NIP) მხარს უჭერს ინფრასტრუქტურის პროექტებს ენერჯეტიკის, ტრანსპორტის, გარემოს და კერძო სექტორის განვითარების სფეროში. ტექნიკური დახმარების გრანტები ხელს უწყობს დაფინანსებული პროექტების უკეთ განხორციელებას და უზრუნველყოფს ევროპის საინვესტიციო ბანკის საპროექტო გადაწყვეტილებებს და ქვეყნისა და დარგობრივი ეკონომიკური რეფორმებს, ასევე ზოგადად ევროპული სამეზობლო პოლიტიკის მიზნებს შორის არსებული პოლიტიკის შეთანხმებულობას. უახლესი თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველი ზონის (DCFTA) ინიციატივა აღმოსავლეთი პროგრამასთან ერთად, ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო პლატფორმამ (NIP) გამოყო დაახლოებით 43 მილიონი ევროს საინვესტიციო და ტექნიკური დახმარების გრანტები ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელების მხარდასაჭერად საქართველოში 2008 წლიდან.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ტექნიკური დახმარება

აღმოსავლეთ პარტნიორობის ტექნიკური დახმარების სატრასტო ფონდი (EPTATF) დაარსდა 2010 წელს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში პროექტების მომზადებისა და განხორციელების მხარდასაჭერად ევროპის საინვესტიციო ბანკის ოპერაციების ხარისხისა და განვითარების ზემოქმედების განმტკიცების მიზნებისთვის. აღმოსავლეთ პარტნიორობის ტექნიკური დახმარების სატრასტო ფონდის დონორები არიან ავსტრია, საფრანგეთი, გერმანია, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, შვედეთი და გაერთიანებული სამეფო. მათი დახმარებით გამოიყო 35 მილიონი ევრო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის.

დღემდე აღმოსავლეთ პარტნიორობის ტექნიკური დახმარების სატრასტო ფონდმა დაამტკიცა 29 ოპერაცია 33.2 მილიონი ევროს ჯამური მოცულობით, რომლიდანაც 5.1 მილიონი ევრო გამოიყო საქართველოსთვის. პრიორიტეტული დარგებია:

- სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარება,
- კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შერბილება და ადაპტაცია და
- ადგილობრივი კერძო სექტორის განვითარება, კერძოდ, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესების მხარდაჭერა.

ევროპის საინვესტიციო ბანკი წარმოადგენს ევროკავშირის ბანკს, რომელიც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მფლობელობაშია.

2018 წელს ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფმა გასცა დაახლოებით **80 მილიარდი ევრო** ინვესტიციებისთვის ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ.

ჩვენ წარმოვადგენთ **მსოფლიოს უმსხვილეს მრავალმხრივ მსესხებელსა და სესხის გამცემს.**



ევროპის საინვესტიციო ბანკი

L-2950 ლუქსემბურგი

კონრად ადენაუერის ბულვარი, 98-100

☎ +352 4379-1

www.eib.org

🐦 twitter.com/EIB

📘 facebook.com/EIBinSouthCaucasus/

📺 youtube.com/EIBtheEUbank

სამხრეთ კავკასიაში რეგიონალური წარმომადგენლობა

საქართველო, თბილისი 0105,

თავისუფლების მოედანი, გ. ტაბიძის ქ. N1

☎ +995 322 006 284

✉ tbilisi@eib.org

რეგიონალური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი

მასიეჟ ცურა (Maciej CZURA)

☎ +99 3220-6284

✉ tbilisi@eib.org